დანართი №2

## ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციების რეესტრი

| N | მმართველი ორგანიზაციის სახელწოდება | უფლების, უფლებათა კატეგორიის ან უფლების კატეგორიათა ჯგუფი | საიდენტიფიკაციო ნომერი | ხელმძღვანელი პირის სახელი და გვარი | გამგეობის წევრების სახელი და გვარი | საკონტაქტო მონაცემები | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ა(ა)იპ "ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია – ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაცია" | საჯარო შესრულების უფლება – მუსიკალურ ნაწარმოებებზე (ტექსტით და მის გარეშე), დრამატული და მუსიკალურ-დრამატურგიულ ნაწარმოებებზე, ლიტერატურული, სასცენო, ქორეოგრაფიულ ნაწარმოებებზე, პანტომიმებზე; | 404574475 | 1. გამგეობის თავმჯდომარე - თამარ გვარიშვილი;<br>2. გენერალური დირექტორი - გიორგი ნიკოლაიშვილი;<br>3. საერთაშორისო ურთიერთობების დირექტორი - სტეფან შულცი. | 1. თამარ გვარიშვილი;<br>2. ნინო სექანია;<br>3. თამაზ ჩიქვანაია;<br>4. ლაშა ნიქაბაძე;<br>5. ალექსანდრე გვარიშვილი;<br>6. თამარ ზოიძე;<br>7. გიორგი ნიკოლაიშვილი;<br>8. რუსუდან მორჩილაძე;<br>9. სტეფან შულცი. | იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, თარხნიშვილის ქუჩა, №17;<br><br>ელ. ფოსტა: ipoageorgia@gmail.com;<br><br>ტელეფონი: 599565815 ვებგვერდი: www.ipoa.ge. | ა(ა)იპ „ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციას – "ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაციას" ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულებების სრულყოფილად წარსადგენად მიეცეს 1-წლიანი ვადა. აღნიშნული პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება გამოცხადდება ძალადაკარგულად. |
| | | საჯარო ჩვენების უფლება - სახვითი ხელოვნების და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების, ლიტერატურული, სასცენო, ქორეოგრაფიულ ნაწარმოებებზე, პანტომიმებზე, ფოტოგრაფიულ ნაწარმოებებზე და ნაწარმოებებზე, რომლებიც მიღებულია ფოტოგრაფირების ანალოგიურ მეთოდებზე; | | | | | |
| | | საჯარო გადაცემის უფლება - მუსიკალურ ნაწარმოებებზე (ტექსტით და მის გარეშე), დრამატულ და მუსიკალურ-დრამატურგიულ ნაწარმოებებზე, სახვითი ხელოვნების და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების, ლიტერატურული, სასცენო, ქორეოგრაფიულ ნაწარმოებებზე, პანტომიმებზე, ფოტოგრაფიულ ნაწარმოებებზე და ნაწარმოებებზე, რომლებიც მიღებულია ფოტოგრაფირების ანალოგიურ მეთოდებზე; | | | | | |
| | | საავტორო უფლება აუდიოვიზუალურ ნაწარმოებებზე - აუდიოვიზუალური ნაწარმოებების ავტორების (თანაავტორების), მათი მემკვიდრეების საავტორო ჰონორარების მიღებასთან დაკავშირებით, იმ პირებისგან, რომლებსაც, საქართველოს კანონმდებლობით ეკისრებათ ვალდებულება გადაიხადონ თანხები ჰონორარის გადასახდელად ასეთი ნაწარმოებების გამოყენებისთვის, ნებისმიერი ფორმით, საჯარო შესრულების და საჯარო გადაცემის ჩათვლით (პირველი და განმეორებით გადაცემა, მავთულით და უმავთულოდ); | | | | | |
| | | სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ავტორის უფლება - ავტორების, მათი მემკვიდრეების უფლებები საავტორო ჰონორარის მიღებაზე სახვითი ხელოვნების და ფოტოგრაფიის ნაწარმოებების ორიგინალების ყოველ მომდევნო გაყიდვაზე, ასეთი ნაწარმოებების ორიგინალების პირველად გასხვისების შემდეგ; | | | | | |

| N | მმართველი ორგანიზაციის სახელწოდება | უფლების, უფლებათა კატეგორიის ან უფლების კატეგორიათა ჯგუფი | საიდენტიფიკაციო ნომერი | ხელმძღვანელი პირის სახელი და გვარი | გამგეობის წევრების სახელი და გვარი | საკონტაქტო მონაცემები | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | მოგების მიღების მიზნით გამოცემული ფონოგრამის გამოყენების უფლება -კომერციული მიზნებისთვის გამოშვებული ფონოგრამის დამამზადებლის და ასეთ ფონოგრამაზე ჩაწერილი ნაწარმოების შესრულების, ჰონორარის მიღებასთან დაკავშირებით, ასეთი ფონოგრამების საჯარო შესრულების და საჯარო გადაცემისთვის, ეთერით ან კაბელით ან რეტრანსლაციის გზით; | | | | | |
| | | რეპროდუცირების უფლება - ნაწარმოებების ნებისმიერი მატერიალური ფორმით წარმოებისას, მათ შორის, აუდიო და ვიდეოჩანაწერების ჩათვლით, ორგანზომილებიანი ნაწარმოების სამგანზომილებიანი ასლების და სამგანზომილებიანი ნაწარმოებების ორგანზომილებიანი ასლების დამზადებისას. ელექტრონული (მათ შორის, ციფრული), ოპტიკური ან სხვა მექანიკური ფორმით, რომელიც გამოდგება წაკითხვისთვის; | | | | | |
| | | სინქრონიზაციის უფლება - მუსიკალური ნაწარმოების თანმიმდევრულად გამოყენება სხვა ნაწარმოებში, რომელიც მიმდინარეობს გამოსახულების სახით. (მუსიკალური ნაწარმოებით რთული ობიექტების გაფორმება); | | | | | |
| | | ნაწარმოების გადამუშავების უფლება; | | | | | |
| | | „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტითა და 51-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ჰონორარის შეგროვებასა და განაწილებაზე იმ უფლების, უფლებათა კატეგორიის, ან უფლების კატეგორიათა ჯგუფების ფარგლებში, რომელზეც ასოციაციას მიენიჭა აკრედიტაცია. | | | | | |